„დამტკიცებულია“

დეკანი: ასოც. პროფ. ამირან ბრეგვაძე

ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმი № 5

08.01. 2018 წელი

საზღვაო-სატრანსპორტო ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამების პროფილი

1. ფაკულტეტის პროფილის დოკუმენტის მიზანი:

წინამდებარე დოკუმენტი განსაზღვრავს აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის საზღვაო-სატრანსპორტო ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების შესაძლებლობებსა და ძირითად მიმართულებებს.

2. გამოყენების სფერო

დოკუმენტი გამოყენებული იქნება საზღვაო-სატრანსპორტო ფალულტეტის აკადემიური პერსონალის მიერ სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და წარმართვის პროცესში და გამიზნული იქნება სწავლებისა ხარისხის ამაღლებისკენ.

3. მოკლე სიტუაციური აღწერა

ფაკულტეტი ახორციელებს შემდეგ პროგრამებს:

- საზღვაო ტრანსპორტის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამას;
- მცირე ბიზნესის მწარმოებლის IV საფეხურის პროფესიულ პროგრამას.

კურსდამთავრებულთა კომპეტენციები განისაზღვრება ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მოთხოვნათა შესაბამისად.

№	საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამები	
1.	საზღვაო ტრანსპორტის მენეჯმენტი	საზღვაო ტრანსპორტის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამა ხორციელდება 2010 წლიდან. საზღვაო ტრანსპორტის მენეჯმენტის პროგრამის მიზანია:

		მოამზადოს კვალიფიციური სპეციალისტი მენეჯმენტისა და საზღვაო ტრანსპორტის მულტიდისციპლინურ დარგში უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის (ბაკალავრიატის) სტანდარტების შესაბამისად. უზრუნველყოს როგორც დარგობრივი თეორიული ცოდნა/გაცნობიერების და პრაქტიკული უნარ-ჩვევების, ასევე ზოგადი უნარების განვითარება; ჩამოუყალიბოს სტუდენტს ტრანსპორტის მენეჯმენტში წარმოქმნილი პრობლემების სწორად გაგების, ანალიზის, შეფასების და გადაწყვეტის უნარი; შესძინოს სტუდენტს განათლების შემდგომ საფეხურებზე სწავლის გაგრძელებისათვის აუცილებელი ცოდნა; მოამზადოს სპეციალისტები, რომელთა კვალიფიკაცია და კომპეტენციები უზრუნველყოფს მათ კონკურენტუნარიანობას დასაქმების ბაზარზე. **მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი: მენეჯმენტის ბაკალავრი**
	პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები	
1.	მცირე ბიზნესის მწარმოებლის IV საფეხურის პროფესიული პროგრამა	საზღვაო-სატრანსპორტო ფაკულტეტს პროფესიული პროგრამების განხორციელების საკმაოდ დიდი გამოცდილება აქვს. სწორედ ამ ფაკულტეტზე დაიწყო უმაღლესი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება 2008 წლიდან. 2008-20110წწ. ხორციელდებოდა სააუდიტორო საქმის და საზღვაო გადაზიდვებისა და ორგანიზაციის მართვის პროფესიული პროგრამები, 2010-2012 წწ - სატრანსპორტო ფირმებში ლოგისტიკის ოპერატორის მეოთხე საფეხურის პროფესიული პროგრამა, ხოლო 2012 წლიდან დღემდე ხორციელდება მცირე ბიზნესის მწარმოებლის მეოთხე საფეხურის პროფესიული პროგრამა. **პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია** მოამზადოს მე-4 საფეხურის მცირე ბიზნესის მწარმოებელი, რომელსაც შეუძლია განახორციელოს ინიციატივიანი, დამოუკიდებელი საქმიანობა მოგების მიღების მიზნით, რაც ხელს შეუწყობს საწარმოს შემოსავლების გაზრდასა და ბიზნესის შემდგომ განვითარებას. **მისანიჭებელი კვალიფიკაცია:** მცირე ბიზნესის მწარმოებელის (The small businesses manufacturer) მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია. მიღებული გამოცდილების საფუძველზე ფაკულტეტი მომავალშიც გააგრძელებს პროფესიული პროგრამების შემუშავებას და მოდულური პროფესიული პროგრამების განხორციელებას რამდენიმე მიმართულებით.

4. სიტუაციური ანალიზი (SWOT)

ძლიერი მხარეები / გარე მხარდამჭერი გარემოებები

საბაკალავრო პროგრამა „საზღვაო ტრანსპორტის მენეჯმენტი“	
ძლიერი მხარეები	**დადასტურებები**

დასავლეთ საქართველოში ერთადერთი აკრედიტებული საბაკალავრო პროგრამა საზღვაო ტრანსპორტის მენეჯმენტის მიმართულებით 2009 წლიდან	აბიტურიენტთა ცნობარი
სწავლის შედეგები უზრუნველყოფს კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობას განათლების მომდევნო საფეხურზე და დასაქმების ბაზარზე	გამოკითხვის პროცესში კურსდამთავრებულთა ჩართვა და ინფორმაციის მოძიება კურსდამთავრებულთა დასაქმების შესახებ; დამსაქმებელთა გამოკითხვა
მაღალკვალიფიციური აკადემიური პერსონალი;	აკადემიური პერსონალის CV; აკადემიური პერსონალის თვითშეფასება; ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმები; სალექციო პროცესზე დაკვირვება
თანამშრომლობის მემორანდუმები საზღვარგარეთის უნივერსიტეტებთან და საერთაშორისო კომპანიებთან	მემორანდუმები: რიზეს რეჯიფ ტაიპ ერდოგანის უნივერსიეტთან; შპს „კასპიან ლოჯისტიკს ანდ ფრეით ფორწარდინგ“ -თან (ქ. ბაქო), შპს „სუვარი სჰ იფინგ ენდ ტრაიდინგ კომპანი“ -სთან(ქ. სტამბული), შპს „ბირ დუნია“-სთან (ქ. აშხაბადი), შპს „ ზ ტრანს ჯგუფი“-თან, (ქ. თბილისი), შპს „ნეობიერია ჯგუფთან“) (ქ. ფოთი)
პერსონალის საერთაშორისო გამოცდილება და მზარდი ინტერნაციონალიზაცია	აკადემიური პერსონალის პირადი საქმეები, წარმოდგენილი სამეცნიერო შრომები, საგრანტო თემები. ჩართულობა საერთაშორისო კონფერენციებსა და კვალიფიკაციის ასამაღლებელი ღონისძიებებში

სუსტი მხარეები / გამოწვევები

სუსტი მხარეები
უცხოენოვანი პროგრამების არ არსებობა;
ინგლისური ენის მცოდნე პერსონალის ნაკლებობა;
სწავლისა და კვლევის ინტეგრაციის ნაკლებობა სტუდენტების მონაწილეობით;
გაცვლით პროგრამებში სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის ჩართულობის დაბალი დონე;
ელექტრონული სწავლების ფორმის არ არსებობა;
თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი აუდიტორიების ნაკლებობა;
ნაწილობრივ მოძველებული ინფრასტრუქტურა.
განხორციელების რისკები
არადაფინანსებადი პროგრამებისადმი აბიტურიენტთა და სტუდენტთა ინტერესის შემცირება
ფორსმაჟორული სიტუაციები

5. **არსებული და პოტენციური პარტნიორები**

სტუდენტები პროფესიულ, საწარმოო პრაქტიკას გადიან ქ.ფოთში არსებულ თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილ, მოქმედ საზღვაო-სატრანსპორტო, გადამზიდავ ფირმებში და მცირე საწარმოებში: სს ფოთის ნავსადგურში, შპს „კავტრექსტერმინალის“, შპს „ლოჯისტექსისა“ და შპს „ჯორჯიან ტრანს ექსპედიციის“ ბაზაზე.

სტუდენტები პროფესიულ პრაქტიკას გადიან ქ.ფოთში არსებულ თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილ, მოქმედ საზღვაო-სატრანსპორტო, გადამზიდავ ფირმებში და მცირე საწარმოებში: სს ფოთის ნავსადგურში, შპს „ლოჯისტექსის“, შპს„კავტრექსტერმინალის“, შპს „ჯორჯიან ტრანს ექსპედიციის“ ბაზაზე.

მომავალში საწარმოო პრაქტიკის გავლა შესაძლებელი იქნება შემდეგ ფირმებში:
შპს „კასპიან ლოჯისტიკს ანდ ფრეით ფორწარდინგ“ -თან (ქ. ბაქო),
შპს „სუვარი სჰ იფინგ ენდ ტრაიდინგ კომპანი“ -სთან(ქ. სტამბული),
შპს „ბირ დუნია“-სთან (ქ. აშხაბადი), შპს „ ზ ტრანს ჯგუფი“-თან, (ქ. თბილისი),
შპს „ნეობიერია ჯგუფთან“) (ქ. ფოთი)

6. **არსებული საგანმანათლებლო პროგრამები**

ფაკულტეტზე ამჟამად ხორციელდება საბაკალავრო და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები. კერძოდ: საზღვაო ტრანსპორტის მენეჯემენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა და მცირე ბიზნესის მწარმოებლის მეოთხე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა. ფაკულტეტის კონტიგენტის დინამიკა ბოლო 5 წლის მანძილზე წარმოდგენილია ცხრილი 1-ის და ცხრილი 2-ის სახით.

ცხრილი 1. საზღვაო ტრანსპორტის მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტთა კონტინგენტის სტატისტიკა

სასწავლო წელი	I კურსზე ჩაირიცხა	მობილობით გადავიდა	მობილობით დაემატა	ამჟამად სწავლობს	დაამთავრა და კვალიფიკაცია მიენიჭა
2010	2	-	21		23
2011	11	-	21		18
2012	17	1	32		19
2013	14	7	37	44	13
2014	11	1	28	52	
2015	10	1	26	36	
2016	4	-	23	27	
2017	5	-	6	11	

ცხრილი 2. მცირე ბიზნესის მწარმოებლის IV საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტთა კონტინგენტის სტატისტიკა

სასწ.წლები	მისაღები კონტინგენტი	ჩაირიცხა	დაამთავრა და კვალიფიკაცია მიენიჭა
2012	10	5	2

2013	10	8	2
2014	20	20	19
2015	50	50	36
2016	30	30	23
2017	20	8	

7. ადამიანური რესურსები

ფაკულტეტზე სასწავლო პროცესს ემსახურება:

საზღვაო გადაზიდვებისა და მოდელირების მიმართულებით

- 1 პროფესორი,
- 3 ასოცირებული პროფესორი;

ბიზნესის მართვის მიმართულებით

- 1 ასოცირებული პროფესორი
- 2 ასისტენტ პროფესორი;

საინჟინრო მექანიკის მიმართულებით

- 1 ასოცირებული პროფესორი ;
- 2 ასისტენტ პროფესორი;

სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა				
	სახელი, გვარი	სამეცნ. ერთეული	აკადემიური თანამდებობა	შენიშვნა
№				
2	საღინაძე ივანე	1	პროფესორი. საზღვაო გადაზიდვებისა და მოდელირების მიმართულება	
3	გოგაძე ვაჟა	0,5	ასოც.პროფესორი.საზღვაო გადაზიდვებისა და მოდელირების მიმართულება	დეკანის მოადგილე
4	ფხაკაძე მანანა	0,5	ასოც.პროფესორი.საზღვაო გადაზიდვებისა და მოდელირების მიმართულება	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი

5	დარასელია ნონა	0,5	ასისტ.პროფესორი..საზღვაო გადაზიდვებისა და მოდელირების მიმართულება	
6	ხარბედია ლალი	1	ასოც.პროფესორი. ბიზნესის მართვის მიმართულება	ბიზნესის მართვის მიმართულების ხელ-ლი
7	ბჟალავა მზისადარი	1	ასისტ.პროფესორი. ბიზნესის მართვის მიმართულება	
8	დავითაია ბადრი	1	ასისტ.პროფესორი.ბიზნესის მართვის მიმართულება	
9	არქანია ზურაბი	1	ასოც.პროფესორი. საინჟინრო მექანიკის მიმართულება	საინჟინრო მექანიკის მიმართულების ხელ-ლი
10	ჭანტურია თენგიზი	1	ასისტ.პროფესორი. საინჟინრო მექანიკის მიმართულება	
11	უგულავა ამირანი	0,5	ასისტ.პროფესორი.საინჟინრო მექანიკის მიმართულება	
12	გაგუა ნინელი	საათო ბრივი	უცხო ენის მასწავლებელი	
13	დანელია ნათია		სპეციალისტი	
14	კაპანაძე ნანა		სპეციალისტი	
15	ბენდელიანი ნარგიზა		ბიბლიოთეკარი	
16	მიმინოშვილი თამარი		სპეციალისტი	
17	საბულუა ზურაბი		კომენდანტი	

8. **მატერიალური რესურსები**

- საბიბლიოთეკო ფონდი; (ლიტერატურის ბეჭდვითი ფორმა საჭიროებს შევსებას);
- სასწავლო ფართები (სალექციო და სასემინარო ფართები);
- კომპიუტერული კლასი (საჭიროებს განახლებას).

9. **განვითარების მიზნები**

1. საზღვაო-სატრანსპორტო ფაკულტეტი მიზანშეწონილად მიიჩნევს ფართო პროფილის მქონე მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამის განხორციელებას ორი კონცენტრაციით: საზღვაო ტრანსპორტის მენეჯმენტი და მცირე ბიზნესის მართვა.

აღნიშნული სახით პროგრამის მომზადების აქტუალობა განპირობებულია რეგიონული ეკონომიკის განვითარების თანამედროვე ხასიათით და ადგილობრივი ფირმების მხრიდან გაზრდილი მოთხოვნილებით ისეთ სპეციალისტებზე, რომლებსაც მართვის თანამედროვე მეთოდებისა და პრინციპების თეორიულ ცოდნასთან ერთად აქვთ რეგიონალური ბიზნესის ძირითად ფუნქციონალურ მიმართულებებში (საზღვაო გადაზიდვები, ლოჯისტიკურიი ფირმები, საზღვაო ნავსადგურები, სატრანსპორტო საწარმოები, საბანკო და მიკრო-საფინანსო დაწესებულებები) მიმდინარე მოვლენებისა და პროცესების, განსაკუთრებით მცირე ბიზნესის წინაშე მდგარი პრობლემების ანალიზის უნარი და შეუძლიათ ოპტიმალური გადაწყვეტილებების მიღება.

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია მოამზადოს მენეჯმენტის ბაკალავრის ხარისხის მქონე მაღალკვალიფიციური, კონკურენტუნარიანი სპეციალისტები, რომლებიც ფლობენ დარგის ფართო თეორიულ ცოდნას ბიზნესის ძირითად ფუნქციონალურ მიმართულებებში და აქვთ ცვალებად ეკონომიკურ გარემოში ადაპტაციის, მიზნის ჩამოყალიბების, გადაწყვეტილების მიღების, სტრარტეგიული ხედვის, ცალკეული პრობლემების გადაჭრის ახალი და ორიგინალური გზების დასახვის პრაქტიკული უნარ-ჩვევები.

ვფიქრობთ მოცემული სახით პროგრამის განხორციელება ხელს შეუწყობს სტუდენტური კონტინგენტის ხარისხობრივ და რაოდენობრივ ზრდას, რამდენედაც იკვეთება სტუდენტების მხრიდან მოთხოვნის ზრდა ფართო პროფილის მენეჯმენტის პროგრამაზე, რაც მათი აზრით გაზრდის კურსდამთავრებულთა დასაქმების შესაძლებლობებს. მისანიჭებელი კვალიფიკაცია რჩება უცვლელი „მენეჯმენტის ბაკალავრი".

მენეჯმენტის პროგრამის ძირითადი კურსებისაგან მიღებული თეორიული ცოდნა სტუდენტებს მისცემს მყარ საფუძველს ბიზნესის ადმინისტრირების,მენეჯმენტის, სოციალური მეცნიერების, რაოდენობრივი მსჯელობის, ინფორმაციული ტექნოლოგიების და კომუნიკაციის, ეკონომიკის სხვადასხვა სფეროში; გააფართოებს მათ მიერ სხვადასხვა მიმართულებებისა თუ ქვემიმართულებების აღქმის შესაძლებლობებს. ძირითადი კურსების შეთავაზება მთელი პროგრამის განმავლობაში მოხდება, რაც სტუდენტებს საკუთარი თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული უნარების ფორმირების საშუალებას მისცემს, რომ მომავალში წარმატებით შეძლონ დასაქმება კერძო და საჯარო სექტორში ქვედა და საშუალო დონის მენეჯერის პოზიციაზე.

დამატებითი კონცენტრაციები და არჩევითი კურსები აუცილებელია პროფესიული კომპეტენციების, ცოდნისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების ჩამოსაყალიბებლად ზოგადად ბიზნესის ადმინისტრირებაში, ამასთან, სტუდენტებს საშუალება ეძლევათ მიიღონ დამატებითი კვალიფიკაცია საზღვაო ტრანსპორტის მენეჯმნტში, მცირე ბიზნესის მართვაში თუ სხვა მიმართულებაში და გაიფართოვონ კომპეტენციები შერჩეულ მომიჯნავე სფეროებში. პროგრამა ხელს უწყობს როგორც მმართველობითი, ისე კვლევითი უნარ-ჩვევების განვითარებას გამოყენებული სწავლების ფორმების მეშვეობით, რომელიც ემყარება დისკუსია/დებატების, შემთხვევითი ანალიზის, ქმედებაზე ორიენტირებული სწავლების, ელექტრონული სწავლების, ჯგუფური მუშაობის მეთოდებს. პროგრამის კომპონენტები, შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად, სტუდენტებში უზრუნველყოფს აუცილებელი ცოდნის, უნარ-ჩვევებისა და ღირებულებების განვითარებას მენეჯმენტის სფეროში წარმატებული თვითრეალიზაციისა და სამეწარმეო საქმიანობის ეფექტიანად წარმართვისათვის მუდმივად ცვალებადი ბიზნეს გარემოში.

2. **ფართო პროფილის მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების პირობებში მიზამშეწონილად მიგვაჩნია „საზღვაო ტრანსპორტის მენეჯმენტის" სამაგისტრო პროგრამის განხორციელება.** სამაგისტრო პროგრამის მიზანია მენეჯმენტის სფეროში ღრმა თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების მქონე კონკურენტუნარიანი და თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი პროფესიონალი კადრების მომზადება, რომელთაც ექნებათ: ლოგისტიკურ სისტემაში მატერიალური, ფინანსური და ინფორმაციული ნაკადების მოდელირებისა და ოპტიმიზირების, თანამედროვე ლოგისტიკური სისტემების,

ბიზნეს-პროცესებისა და ტექნოლოგიების პროექტირებისა და დანერგვის თეორიული ცოდნა და პრაქტიკული უნარ-ჩვევები; გემისთვის ტვირთის მოძიების, ამ ტვირთის გადაზიდვაზე ხელშეკრულების დადების, ტვირთის გადაზიდვისა და გემის მუშაობის საწარმოო და ფინანსური მაჩვენებლების განსაზღვრის, სხვადასხვა სახის სამართლებრივ-ორგანიზაციული ფორმის სატრანსპორტო საწარმოში მარკეტინგული საქმიანობის ორგანიზებისა და წარმართვის უნარ-ჩვევები; სამეცნიერო და ანალიტიკური კვლევის, შემოქმედებითი მუშაობის და სამეცნიერო-პედაგოგიური საქმიანობის განხორციელების უნარი.

3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტებში განხორციელებული ცვლილებების და ადგილობრივი ბაზრის მოთხოვნებიდან გამომდინარე მიზანშეწონილად მიგვაჩნია შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება:

- **ლოგისტიკა და პორტების მენეჯმენტი (სპეციალიზაციის კოდი: 020371);**
- **საფინანსო სერვისები (სპეციალიზაციის კოდი: „020456).**

10. ინტერნაციონალიზაციის პერსპექტივები

საზღვაო-სატრანსპორტო ფაკულტეტი მიზნად ისახავს:

- ხელი შეუწყოს სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის ჩართვას გაცვლით პროგრამებში;
- საერთაშორისო თანამშრომლობას კვლევითი პროექტების ფარგლებში;
- მობილობის მსურველი სტუდენტებისათვის მომსახურების სერვისის მიწოდებას ინგლისურ ენაზე;
- ხელი შეუწყოს აკადემიური პერსონალის ენობრივი კომპეტენციების დონის ამაღლებას;
- იგეგმება საერთაშორისო კონფერენციებში აკადემიური პერსონალის ინტენსიური მონაწილეობა.

ბიზნეს-პროცესებისა და ტექნოლოგიების პროექტირებისა და დანერგვის თეორიული ცოდნა და პრაქტიკული უნარ-ჩვევები; გემისთვის ტვირთის მოძიების, ამ ტვირთის გადაზიდვაზე ხელშეკრულების დადების, ტვირთის გადაზიდვისა და გემის მუშაობის საწარმოო და ფინანსური მაჩვენებლების განსაზღვრის, სხვადასხვა სახის სამართლებრივ-ორგანიზაციული ფორმის სატრანსპორტო საწარმოში მარკეტინგული საქმიანობის ორგანიზებისა და წარმართვის უნარ-ჩვევები; სამეცნიერო და ანალიტიკური კვლევის, შემოქმედებითი მუშაობის და სამეცნიერო-პედაგოგიური საქმიანობის განხორციელების უნარი.

3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტებში განხორციელებული ცვლილებების და ადგილობრივი ბაზრის მოთხოვნებიდან გამომდინარე მიზანშეწონილად მიგვაჩნია შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება:

- **ლოგისტიკა და პორტების მენეჯმენტი (სპეციალიზაციის კოდი: 020371);**
- **საფინანსო სერვისები (სპეციალიზაციის კოდი: „020456).**

10. ინტერნაციონალიზაციის პერსპექტივები

საზღვაო-სატრანსპორტო ფაკულტეტი მიზნად ისახავს:

- ხელი შეუწყოს სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის ჩართვას გაცვლით პროგრამებში;
- საერთაშორისო თანამშრომლობას კვლევითი პროექტების ფარგლებში;
- მობილობის მსურველი სტუდენტებისათვის მომსახურების სერვისის მიწოდებას ინგლისურ ენაზე;
- ხელი შეუწყოს აკადემიური პერსონალის ენობრივი კომპეტენციების დონის ამაღლებას;
- იგეგმება საერთაშორისო კონფერენციებში აკადემიური პერსონალის ინტენსიური მონაწილეობა.